



ვამტკიცებ:

შეთანხმებულია:

დიუდოს სპორტული კლუბი  
ლიდერი (ს/კ 406091893)  
დირექტორი:

საქართველოს დიუდოს ეროვნული  
ფედერაციის  
გენერალური მდივანი

 ..... ა. მამუკიშვილი

 ..... გ. ათაბეგაშვილი

**ნესტორ ხერგიანის სახელობის თასი**

**საერთაშორისო ტურნირი 2004-2005-ში და 2006-2007 წ-ში დაბადებულ  
დიუდოისტებს შორის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**  
**მიზნები და ამოცანები**

1. შეჯიბრი მიზნად ისახავს დიუდოს პოპულარიზაციას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.
2. დიუდოს განვითარებას და ოსტატობის ამაღლებას ჭაბუკ დიუდოისტებში.

**შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი:**

**შეჯიბრება ჩატარდება 2017 წლის 30 სექტემბერი - 1 ოქტომბერი  
ქ. თბილისში, დიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 5.**

**აწონვები: დილის 07:30-დან 09:30-მდე ორივე დღეს.**

**30 სექტემბერი – წონითი კატეგორიები 2004-2005: 27კგ; 30კგ; 34კგ; 38კგ;  
42კგ; 46კგ; 50კგ; 55კგ; 60კგ; +60კგ.**

**1 ოქტომბერი – წონითი კატეგორიები 2006-2007: 24კგ; 27კგ; 30კგ; 34კგ;  
38კგ; 42კგ; 46კგ; 50კგ; 55კგ; +55კგ;**

**ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 29 სექტემბერი, წასვლის დღე – 3 ოქტომბერი.**

**დასაწყისი 11 საათზე**

შეჯიბრების ორგანიზატორი არის დიუდოს სპორტული კლუბი ლიდერი. შეჯიბრებას მოემსახურება საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია.

**შეჯიბრების ჩატარების სისტემა:**

შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში დიუდოს საერთაშორისო წესების მიხედვით. ყველა მონაწილემ უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

### **შეჯიბრების ჩატარების ხარჯები:**

სამივლინებო ხარჯებს (გზა, სასტუმრო, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები. შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი.

სასტარტო გადასახადი თითოეულ სპორტსმენზე შეადგენს 10 ლარს.

### **დაჯილდოება :**

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

დებულება ითვლება ოფიციალურ მოწვევად.

ტურნირზე იასპარეზებენ მოწვეული ქვეყნები: უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი.

საკონტაქტო ტელეფონი: 593 99 88 83 ალექსანდრე მამუკიშვილი.  
595 40 58 70 ნესტორ ხერგიანი

შეჯიბრებაზე სპორტსმენტათვის დასაშვებია ზედმეტი 500 გრამი.

ტურნირის შემდგომ 2017 წლის 2 ოქტომბერს 11:00 საათზე ბელიაშვილის №5-ში ძიუდოს აკადემიაში გაიმართება ერთობლივი ვარჯიშები.